შიგა, **შიდა** მორფემებისათვის

ავტორი **მაკა ლაბარტყავა**
არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი (საქართველო) ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი
ელფოსტა: labartkavamaka@gmail.com

ანოტაცია

სტატიაში გაანალიზებულია თანამედროვე ქართულში **შიგა** და **შიდა** სინონიმური წყვილით გაფორმებული ლექსიკური ერთეულების პარალელური გამოყენების შემთხვევები, რომლებიც თავისუფლად მონაცვლეობენ რადიო-ტელევიზიისა თუ პრესის ენაში, აგრეთვე სხვადასხვა დარგის ლექსიკონებში. მაგ.: **შიგასაუნივერსიტეტო**, შდრ.: **შიდასაუნივერსიტეტო**; **შიგაგაყვანილობა**, შდრ.: **შიდაგაყვანილობა**; **შიგაწვა**, შდრ.: **შიდაწვა**... განხილულია ზემოთ დასახელებულ (**შიგა**, **შიდა**) მორფემადართულ ლექსიკურ ერთეულთა გამოყენების შემთხვევები თანამედროვე ქართულ ენაში და მოცემულია სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზი, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ **შიდა** მორფემებიანი ლექსიკური ერთეულები სჭარბობენ **შიგა** მორფემებიან ლექსიკურ ერთეულებს.

სტატიაში აგრეთვე გამოთქმულია თვალსაზრისი, თუ როგორ იქნეს გათვალისწინებული **შიდა** და **შიგა** მორფემებიანი ლექსიკური ერთეულები ახალ ორთოგრაფიულ ლექსიკონში.